შპს ქართულ-ინგლისური
სკოლა
„ბრიტანიკა“
საქართველო, 0141 თბილისი,
ჩარგლისქ. 65
ტელ: 2 60 69 27; 5 55 215084
Britannica.ges@gmail.com
WWW. Britannica.edu.ge

Georgian-English School
"Britannica" Ltd
65 Chargali str Tbilisi,
Georgia
Pho: 2 60 69 27
5 55 215084

ქ. თბილისი 15.07. 2025
№ 2- 53

ბრძანება № 53

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საფუძველი
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს 2024-2025 სასწავლო წლის წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის აღწერას.
2. დაევალოს სკოლის ადმინისტრაციულ - საკანცელარიო საქმეთა მენეჯერს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში. (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 64)

Tamar Maisuradze 01023003009
Digitally signed by Tamar Maisuradze
Date: 2025.09.29 13:26:00

თამარ მაისურაძე
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა
„ბრიტანიკას“ დირექტორი

ბრიტანიკა Britannica
ქართულ-ინგლისური სკოლა
Georgian-English School

დამტკიცებულია
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა
„ბრიტანიკას“ დირექტორის მიერ
ბრძანება № 53 15.07.2025

სკოლის დირექტორი Tamar Maisuradze 01023003009 Digitally signed by Tamar Maisuradze Date: 2025.09.29 13:26:39 თამარ მაისურაძე

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

წლიური ანგარიში

(სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ)

2024-2025 სასწავლო წელი

რეგიონი- ქ. თბილისი

რაიონი: გლდანი-ნაძალადევი

სკოლის დასახელება: შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 200193673

მისამართი: ჩარგლის ქ. 65

საკონტაქტო ტელეფონი:

232 2 60 69 27 ; 5 93 99 51 91

ელფოსტა: Britannica.ges@gmail.com

ვებგვერდი: Britannica.ge

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“ს

2024-2025 სასწავლო წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წლიური ანგარიში

სკოლის სასკოლო საზოგადოება	პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ მუშაკთა რაოდენობა - 49 თანამშრომელს. სკოლის დირექტორი - თამარ მაისურაძე დირექტორის მოადგილე - ქეთევან მაისურაძე ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი-მაკა ტუკვაძე საკანცელარიო-ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი სკოლის ბუღალტერი სკოლის იურისტი სკოლის ფსიქოლოგი სკოლის ექიმი სკოლის ბიბლიოთეკარი მშობელთა სათათბიროს თავმჯდომარე პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე მოსწავლეთა თვითმმართველობა 36 მასწავლებელი- ✓ 1 წამყვანი მასწავლებელი, ✓ 27 უფროსი მასწავლებელი, ✓ 3 მაძიებელი მასწავლებელი, ✓ 5 მოწვეული მასწავლებელი 3 ტექნიკური პერსონალი მოსწავლეთა რაოდენობა - 247 (ზღვრული რაოდენობა-250)

	➢ **დაწყებით საფეხურზე- 142 მოსწავლე;** ➢ **საბაზო საფეხურზე -68 მოსწავლე;** ➢ **საშუალო საფეხურზე - 38 მოსწავლე;** **დაკომპლექტდა 20 კლასი.**
სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	➢ სკოლის შენობა სამსართულიანია -873 კვ.მ. ერთი მთავარი და ორი სათადარიგო გასასვლელი კარით. ➢ სკოლას აქვს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გამართული ინფრასტრუქტურა, ნორმალურად მუშაობს ცენტრალური გათბობის სისტემა. ➢ საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია მოსწავლის ავეჯით, მუშაობს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, კომპიუტერული კაბინეტი, საკონფერენციო ოთახი, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი და სასადილო ოთახი. ➢ საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია მოსწავლის ავეჯით, მუშაობს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, კომპიუტერული კაბინეტი, საკონფერენციო ოთახი, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი და სასადილო ოთახი. სკოლას აქვს 13 კომპიუტერი, 2 პროექტორი, 1 ტელევიზორი, ვიდეო-აუდიო სისტემები, 3 ლეპტოპი. ➢ სკოლას აქვს კარგი ბიბლიოთეკა მრავალფეროვანი წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკაში ტარდება ბიბლიოთეკის საათის გაკვეთილები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის. ➢ სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ექიმის კაბინეტი, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად სრულად არის აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარითა და უზრუნველყოფილია აუცილებელი მედიკამენტებით. ➢ სკოლის გარე და შიდა პერიმეტრი კონტროლდება 10 ვიდეოკამერით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოებას. ➢ სკოლაში ფუნქციონირებს კვების ობიექტი. ➢ სკოლაში ჩატარდა გენერალური რემონტი. კერძოდ, საკლასო ოთახებში შეიღება კედლები, დაიგო ლამინატის იატაკი. ჩატარდა საპირფარეშოების სრული დემონტაჟი-შეიცვალა კანალიზაციის მილები, საჰაერო სავენტილაციო გაყვანილობა, დამონტაჟდა უნიტაზები.

სასკოლო კურიკულუმი	➢ 2024-2025 სასწავლო წელი მიმდინარეობდა სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად. ➢ შემუშავდა სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლის შესაძლებლობების, მიზნებისა და მიდრეკილებების გათვალისწინებით. სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან. ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებული ცვლილებები ასახულ იქნა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში/ კურიკულუმში. ➢ სკოლამ კანონმდებლობით დადგენილი წესების თანახმად, დამატებით შეიმუშავა სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული დებულებები და იმოქმედა შესაბამისად. კერძოდ, ▪ სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი; ▪ ინციდენტის იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების პოლიტიკა; ▪ სარემედიაციო პროგრამა მათემატიკაში; ▪ ფინანსური რესურსების მართვის მექანიზმები; ▪ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;(საბოლოო ვერსია, რომელიც შეთანხმდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან). ▪ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა; ▪ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი; ▪ პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული ინციდენტების დროს თანამშრომლების პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების დოკუმენტი. ➢ სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამები, რომელიც დაგეგმილი იყო აღნიშნულ წელს, შესრულდა და საკმაოდ წარმატებითაც დასრულდა. ➢ საანგარიშო სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა საათობრივი ბადის შესაბამისად. თითოეული მასწავლებლის მიერ შემუშავებული პროგრამა პასუხობდა ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ითვალსწინებდა მოსწავლეების შესაძლებლობებსა და ინტერესებს. ➢ სკოლის დირექციის ხელშეწყობით , შიდა სასკოლო ტრენინგების დახმარებით, მასწავლებლებმა დაამუშავეს საგნობრივი კურიკულუმები ახალი რედაქციით, რომელიც შესაბამისობაშია ახალ სტანდარტებთან, თუმცა, აღნიშნული საკითხის მოგვარება

	გახანგრძლივდა. საბოლოოდ, სკოლის ხარისხის მართვის სპეციალისტის აქტიური ჩართულობით და რეკომენდაციებით საგნობრივი კურიკულუმები მომზადდა ესგ-ს სტანდარტების შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის უფრო მეტი ინტენსივობით უნდა ჩაერთოს ყველა მასწავლებელი ახალ გამოწვევაში. დაგეგმილია სკოლის გამოცდილი მასწავლებლების ჩართვა მეთოდური საკითხების დამუშავებაში. ➢ აქტიურად მიმდინარეობდა სკოლის დირექციის მხრიდან მონიტორინგი- გაკვეთილებზე დასწრება, საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სწავლების ხარისხის შეფასება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტისა და სკოლის დირექტორის მიერ. (დანართი 1) ➢ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე მონიტორინგი ხორციელდებოდა კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონული ჟურნალის “SCHOOLBOOK“ ის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს შესაბამისი კლასის დამრიგებელმა გააცნეს სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, მოსწავლეთა შეფასების სისტემა და სხვა სასკოლო ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.დამრიგებელი წლის განმავლობაში ყველა მშობელს სისტემატიურად აწვდიდა ინფორმაციას შვილის ყოფაქცევისა და მიღწევების თაობაზე; პერიოდულად ტარდებოდა დამრიგებლის საათი ონლიან პლატფორმა Google Meet-ის ის გამოყენებით. წლიური შედეგებისა და მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვებზე დაყრდნობით მივიღეთ ის დასკვნა, რომ ყველა კლასის დამრიგებელმა შესაბამისად გაართვა თავი მათზე დაკისრებულ მოვალეობებს და შეძლო მის მიერ დასახული დამრიგებლის სამოქმედო გეგმის მეტნაკლებად კარგად განხორციელება. ➢ ვერიფიკაციის პროცესის ჩასატარებლად შეგროვდა ნამუშევრები, დაინიშნა ვერიფიკატორი მასწავლებლები და სკოლის ხარისხის მართვის სპეციალისტის მიერ წარმატებით განხორციელდა აღნიშნული პროცესი. ➢ მაისის ბოლოს ჩატარდა სასკოლო სადიაგნოსტიკო წერა I, IV, VI და IX . წერის მიზანი იყო ჩატარებულიყო აკადემიურ საგნებში საფეხურის დამამთავრებელ კლასებში მიღებული შედეგების სასკოლო კვლევა.

	➢ სკოლის დირექტორის მოადგილის მიერ, რომელიც განსაზღვრულია ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირად, ხორციელდებოდა პერიოდული შემოწმება მასწავლებლის მიერ ელექტრონული ჟურნალის შევსების წესის დაცვაზე, ხოლო შემდგომი რეაგირება ხორციელდებოდა დირექტორის მიერ. ელექტრონული ჟურნალის წარმოების წესის დარღვევა წარმოადგენს დისციპლინარულ გადაცდომას სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სამწუხაროდ, კვლავ ჰქონდა ადგილი ზოგიერთი მასწავლებლის მხრიდან ჟურნალის დაგვიანებით შევსებას, შეფასებების, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, განმავითარებელი შეფასებების უგულვებელყოფას, რაზეც მიანიშნეს მშობლებმა კითხვარებში. ➢ საანგარიშო წელს სკოლასთან კვლავ აქტიურად ითანამშრომლა მშობელთა სათათბირომ და მოსწავლეთა თვითმმართველობამ, რაც დადებითად აისახა სასკოლო საზოგადოების ცხოვრებაზე. მშობელთა აქტიური ჩართულობით მოხერხდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმება და მოწესრიგდა სკოლის მიმდებარე ეზო-დაიგო ეზოს საფარი და განთავსდა ბაღის სკამები. იგეგმება ეზოს გამწვანება. ➢ მე-12 კლასი დაამთავრა 8 მოსწავლემ. მათ შორის ხუთი მოსწავლე წარდგენილია ოქროს მედლის კანდიდატებად.
სასკოლო სასწავლო ღონისძიებები	საანგარიშო წლის განმავლობაში მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა შიდა სასკოლო ვიქტორინები და კონკურსებში. მიმდინარე სასწავლო წელს კვლავ აქტიურობით გამოირჩეოდნენ საბუნებისმეტყველო საგნებისა და მათემატიკის მასწავლებლები. მათი ორგანიზებით, რამდენიმე ტურად ჩატარდა სახალისო ვიქტორინები საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით. ვიქტორინების მიზანს წარმოადგენდა მოსწავლეების მეტი დაინტერესება საბუნებისმეტყველო საგნებისა და ფიზიკა-მათემატიკის მიმართ. შედეგად, მოსწავლეები კიდევ უფრო მეტად დაინტერესებული არიან აღნიშნული საგნების მიმართ, რაზეც მოსწავლეების მაღალი შედეგები მეტყველებს. კერძოდ, ჩატარდა: ➢ ვიქტორინები საბუნებისმეტყველო საგნებში-VIII, IX XI კლასებში;

	➕ ვიქტორინა მათემატიკასა და ფიზიკაში-IX კლასებში; ➕ კონკურსი-„რა,სად, როდის“; ➕ პრეზენტაცია „ საქართველოს ოკუპაცია“ -X კლასი; ➕ პრეზენტაცია „ წყალი და ადამიანი“ – VIII კლასი; ➕ პრეზენტაცია „გეომეტრიული ფიგურები არქიტექტურაში“ -IX კლასი;
სასკოლო აღმზრდელობითი ღონისძიებები	საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარდა მრავალფეროვანი სასკოლო აღმზრდელობითი ღონისძიება, თუმცა აქტიურობა კვლავ მხოლოდ დაწყებითი საფეხურზე აღინიშნებოდა, თუ არ ჩავთვლით ორ მნიშვნელოვან და მაღალ დონეზე ჩატარებულ ღონისძიებას VII და VIII კლასის მოსწავლეების მონაწილეობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უმცროსკლასელები წარსდგნენ აუდიტორიის წინაშე საკმაოდ საინტერესო და დახვეწილი წარმოდგენებით; მათი არტიკულაცია სრულყოფილი და კარგად იყო დამუშავებული მასწავლებლების თავდაუზოგავი შრომის შედეგად. ღონისძიებების თემატიკა მოსწავლეების ასაკის გათვალისწინებით იყო შერჩეული და ინტეგრირებული იყო მუსიკისა და ხელოვნების საგნებთან. დაიგეგმა, რომ მომდევნო სასწავლო წელს საგნის მასწავლებლებმა სასწავლო წლის დასაწყისშივე კონკრეტულად და სწორად უნდა დაგეგმონ ღონისძიებები და შესაბამისად, იმუშაონ მოსწავლეების მოტივაციის ასამაღლებლად. აუცილებლად გასათვალისწინებელია საბაზო საფეხურის აქტიური ჩართულობა ღინისძიებებში. (დანართი 2)
ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა	საშუალო საფეხურის მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული ეროვნულ სასწავლო ოლიპიადაში. უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით, ოლიმპიადაზე მონაწილეობის სურვილი გამოხატა უფრო მეტმა მოსწავლემ და შედეგებიც საკმაოდ მაღალი იყო. (დანართი 3)
საქალაქო ოლიმპიადები	სკოლამ მონაწილეობა მიიღო ✓ “TIMSS -მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევაში; ✓ KINGS- ის მიერ ორგანიზებულ ოლიმპიადაში ქართულ ენაში, ინგლისურ ენასა და მათემატიკაში; ✓ „ევერესტი“-ს მიერ ორგანიზებულ მათემატიკურ ოლიმპიადაში. (დანართი 4)
კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდები	მოსწავლეთა გარე შეფასების მიზნით, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს მიეცათ რეკომენდაცია მონაწილეობა მიეღოთ კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდებზე-საზაფხულო სესია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კემბრიჯის საგამოცდო მომზადების პროგრამა სკოლის ინგლისური ენის

	კურიკულუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მონაწილეობა მიიღო 86 მოსწავლემ. (დანართი 5)
არაფორმალური განათლება-კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების მიზნით	მიმდინარე სასწავლო წელს, მოსწავლეებისათვის კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლასა და პროფესიულ კოლეჯებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. კერძოდ, პროფსეიული კოლეჯი „ორიენტირი“; პროფესიული კოლეჯი „მერმისი“
სასკოლო სპორტული ღონისძიებები	სპორტისა და ფიზიკური კულტურის მასწავლებლის ინიციატივითა და თვითმართველობის აქტიური ჩართულობით ჩატარდა ✓ სასკოლო სპორტული ტურნირი კარატეში; ✓ სასკოლო სპორტული შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთში; ✓ სასკოლო შეჯიბრი ფეხბურთში მონაწილეობდენენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. დასახელდნენ გამარჯვებულები, რომელთაც გადაეცათ სიგელები და მედლები.
„სტუმრად სკოლაში“	საანგარიშო სასწავლო წელს სკოლის დირექციამ კვლავ განაახლა ტრადიცია ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მიწვევა სკოლაში. მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი მოვლენაა ჩვენი სკოლის ცხოვრებაში. კერძოდ, სკოლის მოსწავლეებთან საინტერესო შეხვედრა გამართეს: ფილოსოფოსმა ლევან ღამბაშიძემ, ლიტერატორმა, პროფესორმა ლევან ბერძენიშვილმა, ფილოლოგმა გია მურღულიამ.
დასკვნა	მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და მიღწევების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ 2024-2025 სასწავლო წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. თუმცა მაინც მთავარ გამოწვევად რჩება მოსწავლეთა ხშირი გაცდენა სხვადასხვა მიზეზებით. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში გადმოსული მოსწავლეებთან მაღალი შედეგებით გამოირჩეოდნენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები. ორი თვის განმავლობაში მათ უტარდებოდა მათთვის რთულ საგნებში დამატებითი გაკვეთილები, რაც მათ შემდგომში ძალიან დაეხმარა სწრაფ ინტეგრაციაში. **დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ,, რომ 2024-2025 სასწავლო წელი შეფასდა დადებითად.**

სკოლის დირექტორი: თამარ მაისურაძე